ცრემლთა ისხარნი

1

ცრემლთა ისხარნი, მოსისხარნი ჩვენდა არენით,
ილმენით გულნი პირნახულნი, შეგვიწყნარენით!
უცხონი თემით სოფლის ცემით.გავიგარენით,
უჭნობნი ვარდნი, ესგვარ დარდნი, დავიბძარენით -
არ ითქმის ენით, არცა სმენით, ეს იკმარენით!

2

როს გვაგონდებით, შევღონდებით, ლომნო ყმა-ძმანო,
თანზრდილნო სწორნო, განაშორნო, საყვარლად კმანო!
ვა კიდეგანთა, ესდენ თქმათა გლოვისა ხმანო,
ატადის კალოს, სავალალოს, სადა ხართ, თქმანო!
დაგვბერნა ქარმან დაუწყნარმან, ზღვად ვიფარენით!

3

დაბერდა ყური, სევდის ჭური რა ჰპოვა სოფლით,
დაბინდნა თვალნი, შეუმკრთალნი, ცრემლით და ოფლით,
დადგესცა ხელნი, მარჯვედ წრფელნი, შორნი საყოფლით,
ხელმწიფე, გული ცეცხლდაგული, სულით გამყოფლით,
ჭირსამცა თქვენსა თუ გალხენსა, მოიხმარენით!

4

დღე ვნატრით მზესა, სიამესა, დილა თქვენ გარებს,
ღამე მთოვარე, ქველ მოარე, ხასიათ გვარებს,
ცისკარ-მთიები, სხვა ციები პირველ გახარებს
და მერმე ჩრდილოს სასიკვდილოს ღრუბელს დაჰფარებს!
ამ დღე-ღამითა და ჟამითა დაემწარენით!

5

სიზმარს ვემონვით ძილშეკონვით, ნუთუმცა გნახეთ,
სახე უსახო, სავახვახო ეს განვიზრახეთ,
სხვამცა პატრონი, ანუ დრონი, ვერღა დავსახეთ,
ყარიბთა ბანი, გზის საბანი, ეკლით შევსჩმახეთ!
მოყვასთა ცრემლნი სწვიმეთ ცხელნი, მტერთ იხარენით!